# ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

# სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა ------------------------------------------------------2-5

მოგება ზარალი უწყისი ---------------------------------------------------------------------------6-8

საბალანსო უწყისი ----------- ------------------------------------------------------------------9-11

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი ----------------------------------------------------------12

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯების და შემოსავლების ანგარიშგება ------------------------ ----13

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ---------------------------------------------14-22

ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"ს მენეჯმენტს

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## მოსაზრება

ჩავატარეთ ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორის" (შემდგომში "კლუბი") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალის უწყისს , ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს და ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯების და შემოსავლების ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კლუბის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაზე გაწეულ ხარჯებს და მიღებულ შემოსავლებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა # 2-ში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისია.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ''აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე'' - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კლუბისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

კლუბის  მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა # 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რომელიც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კლუბის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას ან თუ კლუბს არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი,ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კლუბის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხსიმგებლობა**

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მათ ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად,აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და  ვიყენებთ  პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე;

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ

ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კლუბის  შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე.

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კლუბის  ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კლუბი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

.• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

• მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა კომპანიის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხიმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ელენე დოლიძე.

შპს „აუდიტსერვისი 2009"
25 თებერვალი 2020
საქართველო ქ. თბილისი, გობრონიძის ქ # 1 ბ.

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"

| mogeba-zaralis uwyisi | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები | | |
| ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ ამონაგები ბილეთებიდან** | **0** | **0** |
| | | |
| სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი | | 1695 |
| სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი | | |
| სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე | | |
| სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ სპონსორობა და რეკლამა** | **0** | **1695** |
| | | |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ ტრანსლაციის უფლებები** | **0** | **0** |
| | | |
| კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები | | |
| კომერციული - საქონლის გაყიდვა | | |
| კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში | | |
| კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **სულ კომერციული** | **0** | **0** |
| | | |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები | | |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი | | |
| უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| **სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა** | **0** | **0** |
| | | |
| სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან | 303261 | 551983 |
| სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან | 701864 | 208765 |
| შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან | | |
| შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან | | |
| შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან | 88375 | 89402 |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი | 6498 | 1400 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი | | |
| **სულ სხვა შემოსავალი** | **1099998** | **851550** |
| | | |
| **სულ შემოსავალი** | **1099998** | **853245** |
| | | |
| რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| **სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე** | **0** | **0** |
| | | |
| ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება | -128702 | -90954 |
| ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები | | |
| ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | | |
| **სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები** | **-128702** | **-90954** |

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"

| mogeba-zaralis uwyisi | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება | -679604 | -577767 |
| სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები | | |
| სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | | |
| **სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | **-679604** | **-577767** |
| თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი | | |
| **სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | **-808306** | **-668721** |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | -15187 | -15420 |
| სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა) | | |
| ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება | | |
| **სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)** | **-15187** | **-15420** |
| მატჩის დღის ხარჯები | -102824 | -35500 |
| სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები | | |
| კომერციული აქტივობების ხარჯები | | -103353 |
| უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები | | -42850 |
| არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები | | |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები | | -4500 |
| სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | -172290 | |
| **სულ სხვა საოპერაციო ხარჯი** | **-275114** | **-186203** |
| **სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)** | **-1098607** | **-870344** |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | | |
| **წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით** | **0** | **0** |
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან | | |
| მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან | | |
| **სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან** | **0** | **0** |
| ფინანსური შემოსავალი | | |
| ფინანსური ხარჯი | | |
| **წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)** | **0** | **0** |
| სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო) | | |
| სხვა ხარჯი (არასაოპერაციო) | | |
| **წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)** | **0** | **0** |
| საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი) | | |
| **მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ** | **1391** | **-17099** |

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“

| mogeba-zaralis uwyisi | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| დივიდენდები | | |
| მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ | 1391 | -17099 |
| დაბეგვრის შემდგომ მოგების ან (ზარალის) შემოწმება: | | |
| მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ - როგორც ზემოთაა მოცემული | 1391 | -17099 |
| მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ - მონაცემი წლიური ფინანსური ანგარიშგებიდან | 1391 | -17099 |
| შემოწმება | TRUE | TRUE |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად2020 წლის 24 თებერვლისთვის. ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი:

დირექტორი: გია ისიანი

თარიღი: 24.02.2020

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“

| sabalanso uwyisi | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 49124 | 44435 |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | | |
| სხვა დებიტორული დავალიანება | 1700 | |
| საგადასახადო აქტივები | 28 | 11812 |
| მატერიალური მარაგები | 1434 | 1400 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | |
| **მთლიანი მიმდინარე აქტივები** | **52286** | **57647** |
| | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | |
| ძირითადი საშუალებები | 160167 | 162219 |
| არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები | | |
| არამატერიალური აქტივები - სხვა | 306 | 306 |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | | |
| საგადასახადო აქტივები | | |
| ინვესტიციები | | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | |
| **მთლიანი გრძელვადიანი აქტივები** | **160473** | **162525** |
| | | |
| **მთლიანი აქტივები** | **212759** | **220172** |
| | | |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | |
| ბანკის ოვერდრაფტები | | |
| ბანკის და სხვა სესხები | | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება | | |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ | | |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | | |
| დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი | 49124 | |
| მოკლევადიანი ანარიცხები | | |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 5478 | 50709 |
| **მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები** | **54602** | **50709** |
| | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | |
| ბანკის და სხვა სესხები | | |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | | |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები | | |
| თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები | | |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | | |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | | 12697 |
| გრძელვადიანი ანარიცხები | | |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| **მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები** | **0** | **12697** |

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"

| sabalanso uwyisi | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| სულ ვალდებულებები | 54602 | 63406 |
| მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები) | 158157 | 156766 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალი | | |
| გაუნაწილებელი მოგება | 158157 | 156766 |
| სხვა რეზერვები | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალი | **158157** | **156766** |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები | 212759 | 220172 |
| კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები) | TRUE | TRUE |
| **მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება** | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი | 156766 | 173865 |
| პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ | 1391 | -17099 |
| კაპიტალის ზაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში | | |
| ცვლილება გადაფასების რეზერვში | | |
| სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი | 158157 | 156766 |
| შემოწმება | TRUE | TRUE |
| **წმინდა აქტივების/ვალდებულებების შესაბამისობის შემოწმება** | | |
| წმინდა აქტივები/ვალდებულებები - როგორც მოცემულია ზემოთ | 158157 | 156766 |
| წმინდა აქტივები/ვალდებულებები - მონაცემი წლიური ფინანსური ანგარიშგებიდან | 158157 | 156766 |
| შემოწმება | TRUE | TRUE |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები** | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში | | |
| პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი | | |
| დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს | 0 | 0 |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია** | | |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში | | |
| პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა | 0 | 0 |
| დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | | |
| გაუფასურების ანარიცხები პერიოდში | 0 | 0 |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს | 0 | 0 |
| **ნეტო საბალანსო ღირებულება** | | |
| პერიოდის დასაწყისში | 0 | 0 |
| პერიოდის ბოლოს | 0 | 0 |
| შემოწმება | TRUE | TRUE |

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"

| sabalanso uwyisi | 2019 | 2018 |
| --- | --- | --- |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად 2020 წლის 24 თებერვლისთვის. ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი:

დირექტორი: გია ისიანი

თარიღი: 24.02.2020

ლიცენზიის მაძიებელი:

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"

| fuladi saxsrebis moZraobis uwyisi | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან | 9873 | 24417 |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | 7950 | |
| მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | | |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | | |
| ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | -13134 | |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი | | |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან** | -5184 | 0 |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები | | |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები | | |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან | | |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | | |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან** | 0 | 0 |
| სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) | | |
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში | 4689 | 24417 |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია** | | |
| საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი | 44435 | 2591 |
| წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში | 4689 | 24417 |
| საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი | 49124 | 27008 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან) | 49124 | 44435 |
| შედარება საბალანსო უწყისთან | | |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად 2020 წლის 24 თებერვლის-თვის. ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი:

დირექტორი:გია ისიანი

თარიღი:24.02.2020

**licenziis maZiebeli:**

ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"

| axalgazrduli fexburTis xarjebisa da Semosavlebis uwyisi | 2019 | 2018 | komentari |
|---|---|---|---|
| **xarjebi** | | | |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში | 150600 | 147672 | |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე) | | | |
| თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე) | | | |
| საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი , სასტუმროები და სხვ.) | | | |
| სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია) | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი | | | |
| აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით) | 7000 | 5100 | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი | 4500 | 3845 | |
| აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა) | | | |
| აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი | 12000 | 9450 | |
| ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.) | 1200 | 1200 | |
| **sul afg programis xarjebi** | **175300** | **167267** | |
| **Semosavlebi** | | | |
| უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.) | | | |
| უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | | | |
| სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | | | |
| სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის | | | |
| ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! | | | |
| **uSualod afg programisTvis misakuTvnebeli mTliani Semosavali** | **0** | **0** | |
| **wminda Sedegi** | **-175300** | **-167267** | |

**ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:**

უფლებამოსილი პირი: გია ისიანი

თარიღი: 24.02.2020

**ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:**

აუდიტორული კომპანია: შპს ,,აუდიტსერვისი 2009"

უფლებამოსილი წარმომადგენელი: ელენე დოლიძე

თარიღი: 24.02.2020

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

**შენიშვნა 1: კლუბის შესახებ**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (შემდგომში „კლუბი“) დაფუძნდა 2011 წლის 02 ნოემბერს. საიდენტიფიკაციო კოდი 417874973

კლუბმა ორჯერ შეიცვალა სახელწოდება;

2017 წლის 13 იანვრამდე ეწოდებოდა ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HALL Municipality NLP Football Club Dila under Tengiz Burjanadze

2018 წლის 31 იანვრამდე ეწოდებოდა ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“

კლუბის მიზანია: ფეხბურთის განვითრება და პოპულარიზაცია; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა და დაოსტატება;ძირითადი გუნდისა და ნაკრები გუნდებისთვის მოთამაშეების მომზადება; ინტელექტუალური და საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება; საერთაშორისო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ტურნირებში მონაწილეობის მიღება; მასობრივი ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა; საერთაშორისო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩასატარებელ საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობისთვის უეფას ან/და ეროვნული ლიცენზიის აღება, ინფრასტრუქტურის მოწერიგება-განვითარება უეფას და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად.

კლუბი შესდგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან: ფებურთის გუნდი გორი, გურამ გაბუნიას სახელობის საფეხბურთო სკოლა, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი, სხვა სპორტის სახეობები.

კლუბის დამფუძნებელია გორის მუნიციპალიტეტი ს/ნ 218086087, კლუბს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს გორის მუნიციპალიტეტის მერი. კლუბის დირექტორია გია ისიანი იურიდიული მისამართი საქართველო, გორი, გურამიშვილის ქ # 5

კლუბი 2019 წელს ასპარეზობს საფეხბურთო ეროვნულ ლიგა 3-ში.

**შენიშვნა 2**: სააღრიცხვო პოლიტიკა

- მომზადების საფუძველი

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი ,,სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება'' მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები. წარმოდგენილი ,,სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება'' არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით. ამასთანავე ანგარიშგება ითვალისწინებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცენზირების მოქმედი დებულების 48, 49, 50 და 501-ე მუხლების მოთხოვნებს, თანახნად ანგარიშგების წარდგენის შესახებ. ფინანსური ანგარიშგებები შედგება საბალანსო უწყისისაგან, მოგება-ზარალის უწყისისაგან, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისაგან, ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებისაგან და განმარტებითი შენიშვნებისგან

წარმოდგენილი ,,სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება'' მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

კლუბის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში

- მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა და ანგარიშგებაში ასახვა ხდება ინდივიდუალურ დანახარჯთა მეთოდით.

- ძირითადი საშუალებები

მოცემულია - ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 14 წლის ოდენობით , ხოლო ცვეთის განაკვეთია 7 %.

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი

ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

• შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: სუბსიდია - მიღებული მუნიციპალიტეტის დაფინანსებიდან, შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან,

მიღებულ დაფინანსებასთან/სუბსიდიასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება დაფინანსებით/სუბსიდიით გასაწევი დანახარჯების / ხარჯების აღიარების პროპორციულად, იმგვარად, რომ მიღებული დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი გასაწევი ხარჯების და შემოსავლები შესაბამისია.

სხვა მიღებული შემოსავლები, აღიარებულია შემოსავალში დარიცხვის მეთოდით,

**შენიშვნა 3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება**

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

**შენიშვნა 4.** ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში

| | 2019.31.12 | 2018.31.12- |
|---|---|---|
| ფული ხაზინაში ლარში | 49 124 | 44 435 |
| სულ ფული ხაზინაში | 49 124 | 44 435 |

**შენიშვნა 5. მოთხოვნები მომსახურებიდან**

მოთხოვნა არის მოკლევადიანი და ამოღების ვადა განსაზღვრულია რამოდენიმე დღით, დარიცხულ და მისაღები მოთხოვნები აღირიცხება ლარში.

| | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| დარიცხული მოთხოვნები | 1700.00 | |
| სულ | 1700.00 | |

**შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები**

კლუბის ძირითადი საშუალებების საბალანო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 160 167, ლარს. 2018 წლის 31 დეკემბერს 162219 ლარს

2018-2019 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის იპოთეკით დატვირთული, კომპანია არ ფლობს სრულად გაცვეთილ აქტივებს.

| ღირებულება | საოფისე ინვენტარი | მეორე ჯგუფი | საფეხბურთო ინვენტარი | სხვა დანარჩენი | სულ ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 2018 წლის 01 იანვარი | 41,429.39 | 64,967.66 | 81,421.78 | 32,457.01 | 220,275.84 |
| შემოსავალი | 1,137.00 | - | - | - | 1,137.00 |
| გასავალი | | | | | - |
| 2019 წლის 31 დეკემბერი | 42,566.39 | 64,967.66 | 81,421.78 | 32,457.01 | 221,412.84 |
| | | | | | |
| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2018 წლის 01 იანვარი | 7,948.00 | 11,912.00 | 17,089.00 | 6,825.00 | 43,774.00 |
| წლის ცვეთა | 2,900.06 | 4,547.76 | 5,699.55 | 2,272.00 | 15,419.37 |
| ***2018 წლის 31 დეკემბერი*** | ***2,900.06*** | ***4,547.76*** | ***5,699.55*** | ***2,272.00*** | ***15,419.37*** |
| საბალანსო ღირებულება 2018 31.12 | 31,718.33 | 48,507.90 | 58,633.23 | 23,360.01 | 162,219.47 |
| | | | | | |
| 2019 წლის 01 იანვარი | 42,566.39 | 64,967.66 | 81,421.78 | 32,457.01 | 221,412.84 |
| შემოსავალი | 3,364.57 | 1,570.00 | 3,540.00 | 4,660.00 | 13,134.57 |
| გასავალი | | | | | - |
| 2019 წლის 31 დეკემბერი | 45,930.96 | 66,537.66 | 84,961.78 | 37,117.01 | 234,547.41 |
| | | | | | |
| დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება | 10,848.06 | 16,459.74 | 22,788.56 | 9,097.00 | 59,193.36 |
| წლის ცვეთა | 3,135.58 | 3,505.45 | 5,947.35 | 2,598.19 | 15,186.57 |
| 2019 წლის 31 დეკემბერი | 3,135.58 | 3,505.45 | 5,947.35 | 2,598.19 | 15,186.57 |
| ***საბალანსო ღირებულება 2019 31.12*** | ***31,947.32*** | ***46,572.47*** | ***56,225.87*** | ***25,421.82*** | ***160,167.48*** |

შენიშვნა 7. დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი

31.12.2019 წლის ნაშთს წარმოადგენს ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებული გაუხარჯავი დაფინანსება 49 124 ლარის ოდენობით

**შენიშვნა 8. სხვა მიმდინარე ვალდებულებები**

| | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 5478 | 50709 |
| სულ | 5478 | 50 709 |

31.12.2018 წლის ნაშთს წარმოადგენს ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებული გაუხარჯავი დაფინანსება 44435 ლარის ოდენობით ხოლო 6274 ლარს დავალიანება კრედიტორების წინაშე. ვალდებულება 31.12.2019 პერიოდისთვის 5478 ლარი წარმოადგენს დავალიანებას კრედიტორების წინაშე.

**შენიშვნა 9. საკუთარი კაპიტალი**

| | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| გაუნაწილებელი მოგება | 158157 | 156766 |
| სულ | 158157 | 156766 |

**შენიშვნა 10. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან.**

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს გორის მინიციპალიტეტიდან მიღებულ თანხებს და შეადგენს 701864 ლარს

**შენიშვნა 11. სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანიზაციებიდან.**

სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანიზაციებიდან.მოიცავს საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში.

**შენიშვნა 12. ფეხბურთელები - ხელფასი**

ფეხბურთელების ხელფასის ხარჯებში შედის ხელფასი და პრემია

**შენიშვნა 13. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები**

მიმდინარე პერიოდში კლუბის სახელზე არ მიმდინარეობს არანაირი სასამართლო დავა.

**შენიშვნა 14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერციები**

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას

2019-2018 წლებში კომპანიას განხორციელებული აქვს ქვემოთ მითითებული სამეურნეო ოპერაციები შემდეგ ურთიერთდამოკიდებულ პირებთან:

2019 წელი

| დაკავშირებული მხარე | ოპერაციის შენაარსი | დარიცხული თანხა | ნაშთი 31.12.2019 |
|---|---|---|---|
| კლუბის დირექტორი | შრომის ანაზღაურება | 21125 | - - |

**ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"**
**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

2018 წელი

| დაკავშირებული მხარე | ოპერაციის შინაარსი | დარიცხული თანხა | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| კლუბის დირექტორი | შრომის ანაზღაურება | 20312.5 | - - |

კლუბს დამფუძნებლისგან, გორის მუნიციპალიტეტისგან მიღებული აქვს 701864 ლარი.

**შენიშვნა 15.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 24 თებერვალს. ფინანსური უწყისების თარიღიდან დასკვნის გაცემამდე მომხდარი მოვლენებია:

2019 წლის 31 დეკემბრის პერიოდის შემდეგ 2020 წლის 24 თებერვლის ჩათვლით კლუბმა მიიღო დაფინანსება ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 50000( ორმოცდა ათი ათასი ) ლარის ოდენობით

გორის მუნიციპალიტეტიდან 92284,64 ( ოთხმოცდა თორმეტი ათას ორას ოთხმოცდა ოთხი 64/100) ლარი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე არ დაფიქსირებულა.

**შენიშვნა 16.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 24 თებერვალს

დირექტორი: გია ისიანი

თარიღი : 24.02.2020